

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით სრულად რეაბილიტირებული ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი გახსნა



—ღღეს არის მართლაც დიდი ზეიმი. ოზურგეთის ამშვენებს ეს უნიკალური თეატრი, რომელიც 150 წელს ითვლის, — ამის შესახებ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, სრულად რეაბილიტირებული ოზურგეთის

ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი გახსნის ღონისძიებაზე განაცხადა. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, თეატრი გარემონტდა უშუალოდ ბატონი ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით და

ფონდი „ქართუს“ დახმარებით. —„მე მინდა ყველას მოგესალმებოთ. მთავრობის წევრებს, პარლამენტის წევრებს, თეატრის და კულტურის სფეროს წარმომადგენლებს, ოზურგეთის საზოგადოებას. მე მინდა დღევანდელი დღე

მოვილოცოთ ყველას. დღეს არის მართლაც დიდი ზეიმი. ოზურგეთის ამშვენებს ეს უნიკალური თეატრი, რომელიც 150 წელს ითვლის. ეს სილაშქრე, ეს დიდებული თეატრი, როგორც ბატონმა ვასილმა აღნიშნა, გარემონტდა უშუალოდ ბატონი ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით და ფონდი „ქართუს“ დახმარებით.

მე მინდა ასევე ვთქვა, რომ ჩვენ სულ ახლახან მოედინა ჩვენი მხარეს სიმბოლურად გავსენით სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრის სტელა, ბატონი ანზორ ერქომაიშვილის სახელობის. კიდევ ერთხელ მოვიგონეთ ეს დიდებული ადამიანი. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ვართ მართლაც გამოჩენილი ხალხი და გურია მინდა განსაკუთრებულად გამოვყო გამოჩენილი ნიჭიერებით. ბატონი ანზორ ერქო-

აიშვილის ფენომენი სწორედ კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ რაოდენ გამორჩეული მხარეა გურია და გურული ხალხი. მე მინდა ყველას მოგეფეროთ დიდი სიყვარულით, სიბოთით და პატივისცემით. დიდი მადლობა, გილოცავთ კიდევ ერთხელ,“— განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

რეაბილიტაციის შედეგად, ოზურგეთის თეატრი ულტრათანამედროვე ხმის და განათების სისტემებით აღიჭურვა. მასში განთავსებულია ორი სრულფასოვანი სცენა, რადიო სტუდია რადიო სპექტაკლების ჩასაწერად; შენობა მორგებულია თანამედროვე სტანდარტებს, მასში ფუნქციონირებს მსახიობთათვის საგრიმირო, სარეკვიზიტორო, სადურგლო სამაქროები, ადჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. თეატრში არის სხვადასხვა სარეპერტიციო სივრცე, ხმის ჩამწერი სტუდია, ოთახები

მუზეუმისთვის, სამხატვრო სადეკორაციო სახელოსნოსთვის, მცირე დარბაზი — ექსპერიმენტული სცენა, რომელსაც დამოუკიდებლად ფუნქციონირება შეუძლია; შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

თეატრის მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავასთან, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანთან, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრებთან ერთად, ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის ახლად რეაბილიტირებულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში წარმოდგენას — „მონატრება“ ნუ გააღვიძებ“ დაესწრო, რომელიც ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით დაიდგა.

ა ლ ი ო ნ ი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული გამოშვება. № 13 (10383) 17 მაისი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

„მე ღრმად მჯამს, რომ ამ მხარეს ბევრად დიდი კოტენციალი აქვს, ვიდრე ეს ჩანს“



გუშინ ოზურგეთის სტუმრობდა ულტრაკონსერვატორული შეხედულების ქართველი ბიზნესმენი ლევან ვასაძე, რომელმაც ახლახან საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთობა, რაობა, იმედი“ დააფუძნა. ოზურგეთის „ჭადრების ბაღში“ ლევან ვასაძე ოზურგეთის საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა. დამსწრეთა შორის იყვნენ სოფლების ასკანა-ფიჩხიჯვარი-მთისპირის წარმომადგენლები. როგორც ლევან ვასაძემ განაცხადა, ეს იყო ექსპონატად ჩატარებული შეხვედრა.

ლევან ვასაძის საუბრის თემა იყო დღევანდელი ქართული პოლიტიკა და ამჟამინდელი გამოწვევები, როგორი პოზიცია უნდა გააჩნდეს ქვეყანას ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით; დედა ეკლესიის თანადგომა, ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების გზები, ქართული სოფლის გადარჩენა, „ნამახვანჭის“ და სხვა ჰესების მშენებლობებიდან გამომდინარე პრობლემები და ა.შ. პასუხი გასცა დასმულ შეკითხვებს. შეხვედრის დასრულების შემდეგ მან ჟურნალისტებთან განაცხადა:

ირაკლი ღარიბაშვილი - ანზორ ერქომაიშვილმა მთელი ცხოვრება მიუძღვნა ჩვენს ქვეყანას, ქართულ მუსიკას, ფოლკლორს და შექმნა უზარმაზარი, უნიკალური ბაზა, რომელიც შემოუნახა და გადაეცა ჩვენს მომავალ თაობას

—ანზორ ერქომაიშვილმა მთელი ცხოვრება მიუძღვნა ჩვენს ქვეყანას, ქართულ მუსიკას, ფოლკლორს და შექმნა უზარმაზარი, უნიკალური ბაზა, რომელიც შემოუნახა და გადაეცა ჩვენს მომავალ თაობას. მთავრობის მეთაურმა ქართული კულტურის განვითარებაში ანზორ ერქომაიშვილის მიერ შეტანილ წვლილზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მემორიალური დაფის გახსნა კიდევ ერთხელ გამოხატული მადლიერებაა იმ უდიდესი ღვაწლისათვის, რაც ანზორ ერქომაიშვილმა ქართული კულტურისთვის და საქართველოს წინაშე გასწია.

—„მე მინდა განსაკუთრებული პატივისცემით მივესალმო ბატონი ანზორ ერქომაიშვილის მუშაობას, კალბატონ ლალის. ჩვენ დღეს აქ

შევიკრიბეთ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ პატივი მივაგოთ ჩვენს დიდ ქართველს, დიდ გურულს და მე ვიტყვი, მსოფლიო დონის კულტურის მოღვაწის, ბატონი ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნას. ძალიან ბევრი შეიძლება ვისაუბროთ ბატონი ანზორ ერქომაიშვილის ღვაწლზე და მის საქმეზე, რომელიც მან გააკეთა ჩვენი ქვეყნისთვის და ხალხისთვის. მან პრაქტიკულად მთელი ცხოვრება მიუძღვნა ჩვენს ქვეყანას, ქართულ მუსიკას, ფოლკლორს და შექმნა უზარმაზარი, უნიკალური ბაზა, რომელიც შემოუნახა და გადაეცა ჩვენს მომავალ თაობას. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრს მიენიჭა ბატონი ანზორ ერქომაიშვილის სახელი, მისი სახელის უკვდავსაყოფად. ეს ასეც არის და ასე იქნება მუდმივად. მინდა აღვნიშნო დიდი პატივისცემით, რომ საქმეს, რომელიც ანზორ ერქომაიშვილმა დაიწყო, უზარმაზარი



საგანძურ-ი, რომელიც შემოგვინახა და დავგიტოვა, ღირსეულად აგრძელებს ბატონი გიორგი დონაძე. მე მინდა მას მივესალმო განსაკუთრებით და როგორც ბატონი ანზორის გამოჩენილ მოწაფეს და მისი საქმის გამგრძელებელს, მინდა ვუსურვო დიდი წარმატებები და მადლობა გუთხრა მას ბატონი ანზორის საქმის გავრძელებისთვის;“— განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. მემორიალური დაფის გახსნის ცერემონიალს ანზორ

ერქომაიშვილის მეუღლე ლალი სეთურიძე, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დაითაშვილი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე დაესწრნენ.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- განსვენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარმანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე
«ალიონით»

„მე ღრმად მწამს, რომ ამ მხარეს ბევრად დიდი პოტენციალი აქვს, ვიდრე ეს ჩანს“

—მე გურიისადმი სუბიექტური ვარ, რადგან გურული ვარ მამითაც და დედითაც. ჩემი გული სხვანაირად ფეთქავს, როცა ჩემს მშობლიურ მხარეში ჩამოვდივარ. გურია ჩემთვის საერთოდ სხვა არის. მე ღრმად მწამს, რომ ამ მხარეს ბევრად დიდი პოტენციალი აქვს, ვიდრე ეს ჩანს და ამ პოტენციალის გასაღებებლად და განსახორციელებლად ჩვენ გვჭირდება ადგილობრივი წარმოების განვითარება, ეს არის ანა-ბანა. თუ ჩვენ ვერ შევქმნით პირობებს, რათა გურული სოფლის მეურნეობის წარმოება ავიდეს ხარისხობრივად სხვა დონეზე, გავაგრძელებთ ყოფნას იმ ტაობში, რომელშიც ვართ. გარდა ამისა, გურიას გააჩნია საოცარი ტურისტული პოტენციალი, მაგრამ

ეს არის ბევრად უფრო მყიფე და არასტაბილური პანდემიის და საერთოდ მომავალი წლების პერსპექტივაში. არ შეიძლება ერთ ლიანდაგზე შეაყენო ეკონომიკა და თქვა, რომ ჩვენ ყველა ვიქცევით მომსახურების სფეროდ. არაფერი საწინააღმდეგო მე ტურიზმის არ მაქვს, მაგრამ ეკონომიკას აუცილებლად სჭირდება დივერსიფიკაცია. გარდა ამისა, არის ძალიან საინტერესო, სასარგებლო წიაღისეულის რამდენიმე კერა გურიაში, რომლის ნაწილიც დამუშავებულია, ნაწილი - ხელუხლებელი. ამასაც სჭირდება პატრონობა და მიზანმიმართული ეკონომიკური გეგმა სახელმწიფოს მხრიდან.“ — განაცხადა ლევან ვასაძემ.

ოზურგეთში მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების დღე აღინიშნა



9 მაისს, ოზურგეთში, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის ობელისკის წინ მარადიული ცეცხლი აენთო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ - ქეთევან მთისწრაფიშვილმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემ, მერის მოადგილე, ირაკლი სირაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ, დავით დარჩიამ, თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი ღურჯუაშვილმა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 4 ვეტერანს ფულადი პრემია - 500-500 ლარი და ფასიანი საჩუქრები გადასცა. — 9 მაისი დიდი გამარჯვების დღეა, ყველა იმ ადამიანის გამარჯვების

დღეა, ვინც ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდა. საქართველომ ამ ბრძოლაში უდიდესი მსხვერპლი გაიღო, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშიზმის დამარცხებაში. მეორე მსოფლიო ომში ოზურგეთიდან 11 653 ადამიანი გაიწვიეს, აქედან 6390 დაიღუპა. ქედს ვიხზი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ჩვენი სახელოვანი ვეტერანების, შოთა მანჯავიძის, შოთა გოვატაძის, დიმიტრი სარიშვილის და ანასტასია მჭავიას წინაშე! თაობები ყოველთვის დააფასებენ მთ ღვაწლსა და თავგანწირვას, — აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ. 1945 წლის 8 მაისს ვერმანტის კაპიტულაციის შემდეგ, ევროპაში მსოფლიო ომი დასრულდა, 9 მაისი კი ფაშიზმზე გამარჯვების დღედ გამოცხადდა.

მეპტიმე თაყაიშვილის მუზეუმის გზის რეაბილიტაცია

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ოზურგეთის მერიის თანადაფინანსებით სოფელ ლიხაურში, ექვთიმე თაყაიშვილის სახელმუზეუმთან მისასვლელი გზის მისასვლელის სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოები, ოზურგეთის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ, მერის მოადგილემ ოსიკო თოთბაძემ და შემსრულებელი კომპანიის ხელმძღვანელმა თემურ ჯახვამ დაათვალიერეს. აღნიშნულ პროექტს, შ.პ.ს „გზა-



მშენი 18“ ასრულებს, რომლის სახელმწიფო ღირებულება 390 329 ლარს შეადგენს.

ისრაელის საელჩო ზაურ ოსეფაიშვილი საპატიო სიგელით დააჯილდოვა




2 მაისს ქ. თბილისში ისრაელის დამოუკიდებლობის 69- და ისრაელ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე „shalom club Guria“-ს დამფუძნებელი ზაურ ოსეფაიშვილი ისრაელის საელჩომ ისრაელსა და საქართველოს შორის მეგობრობასა და ურთიერთ თანამშრომლობაში შეტ-

ანილი წვლილისთვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა. ასევე უურნალოდ, რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის დაიბეჭდა მოთხოვნილია კლუბის საქმიანობის შესახებ. ვულოცავთ ბატონ ზაურს და „შალომ ცლუბ გურია“-ს ყველა წევრს საქართველოში და ისრაელში ამ წარმატებას.

„ისრაელის თავდაცვის სამხედრო ძალები ღირსეულად უმკვლავდებიან ამ უშიშეს მდგომარეობას“

ისრაელში საქართველოს არაერთი მოქალაქე იმყოფება. მათ შორისაა ჩვენი დიდი მეგობარი, ქართული ხელოვნების ცენტრის წარმომადგენელი, პროფესორი ლადო ჭელიძე. —„ძალიან ბევრი ახლობელი და მეგობარი მეზიანება. მინდა ვითხრათ, რომ მართლაც მეტად როული და დამაბული ვითარებაა. როგორც დღის, ისე მთელი ღამის განმავლობაში ინტენსიურად იბომბება ისრაელის ქალაქები და დასახლებული ადგილები, მაგრამ ისრაელის თავდაცვის სამხედრო ძალები

ღირსეულად უმკვლავდებიან ამ უშიშეს მდგომარეობას, უმთავრესად პაერშივე ანადგურებენ რაკეტებს. მხოლოდ რამდენიმე რაკეტა ახერხებს აფეთქებას ქუჩებსა და სახლებთან. მოსახლეობა ძირითადად და ჩვენც მათ შორის იზოლირებულ ოთახებში შევდივართ სირენის ხართვისთანავე და ამდენად, საიმედოდ დაცულები ვართ. უღრმეს მადლობას მოვასხებთ გულისხმობისა და შემოხმობისთვის, სიკეთე გქონოდეთ და გაიხარეთ.“—წერს ლადო ჭელიძე სოციალურ ქსელში.



გამოიწერეთ გაზეთი „ალიონი“
6 თვით - 15 ლარი;
ერთი წლით - 30 ლარი

ირაკლი ღარიბაშვილი - მიხარია, რომ პროექტს „Log in Georgia“, ვიწყებთ სწორედ ბახვის საჯარო სკოლიდან, სადაც დღეიდან ინტერნეტი სრულად ხელმისაწვდომია



ირაკლი ღარიბაშვილი - მიხარია, რომ პროექტს „Log in Georgia“, ვიწყებთ სწორედ ბახვის საჯარო სკოლიდან, სადაც დღეიდან ინტერნეტი სრულად ხელმისაწვდომია

დღეიდან ბახვის საჯარო სკოლაში ინტერნეტი ხელმისაწვდომი იქნება. მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა პროექტი „Log in Georgia“, რომელიც „ოუფენ ნეტის“ მიერ ხორციელდება და რეგიონებში ფართოზოლოვან ინტერნეტქსელებთან ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

სკოლაში დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იმყოფებოდა. როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ქვეყანაში საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან დაიწყო და დღეიდან 49 დასახლებულ პუნქტში 29 000 მოქალაქეს უკვე შეუძლია, ისარგებლოს სხვადასხვა სერვისებით.

„მოგეხსენებათ, რომ ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა ჩვენი ქვეყნისთვის მთავარი გამოწვევაა და ქვეყანაში საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტი სწორედ გურიიდან, ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან დაიწყო. ამ პროგრამის განხორციელებით 49 დასახლებული პუნქტის 29 000-მდე ჩვენს მოქალაქეს მიეცა შესაძლებლობა, ისარგებლოს ისეთი პროგრამებით და სერვისებით, როგორებიცაა: ელექტრონული ჯანდაცვა, ელექტრონული განათლება, ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული კომერცია და ა.შ.

მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა პროექტი „Log in Georgia“. პროექტი, რომელიც „ოუფენ ნეტის“ მიერ ხორციელდება, ჩვენს რეგიონებში ფართოზოლოვან ინტერნეტქსელებთან ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ნებისმიერი ოპერატორისთვის თავისუფალი, მეტყობი, არადისკრიმინაციული პირობებით მომსახურების მიწოდებას. ამდენად, ეს არის შესაძლებლობა კერძო სექტორისთვისაც, განვითარონ საკუთარი ბიზნესი.

მიხარია, განსაკუთრებით, რომ დღეს ამ მნიშვნელოვან პროექტს ვიწყებთ სწორედ ბახვის საჯარო სკოლიდან, სადაც დღეიდან ინტერნეტი სრულად ხელმისაწვდომია. ეს არის სკოლა, რომლის რეაბილიტაცია რამდენიმე თვის წინ დასრულდა და სრულად აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით, შეიქმნა სრულფასოვანი სწავლის, სპორტული

აქტივობის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ყველა პირობა“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ბახვის საჯარო სკოლა, რომელიც მძიმე მდგომარეობაში იყო, 2000 წელს გარემონტდა სოხარ სუბარის ინიციატივით, სკოლის დირექტორის, ქალბატონი მზია ვაშალომძის ძალისხმევით და განათლების მინისტრ მიხეილ ჩხენკელის ჩართულობით.

„ეს სკოლა სკოლის დირექტორის, ქალბატონი მზიას ძალისხმევით გარემონტდა 2000 წელს და მას შემდეგ ეს სკოლა იყო ძალიან მძიმე მდგომარეობაში. ბატონი სოხარ სუბარის ინიციატივით, ქალბატონი მზიას ძალისხმევით და რა თქმა უნდა, ბატონი მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის უშუალო ჩართულობით დღეს ჩვენ სახეზე გვაქვს სრულიად განახლებული, ევროპული დონის და სტანდარტის სკოლა“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს მთავრობის ინიციატივით დაწყებული საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის საპილოტე პროექტი წარმატებით დასრულდა - ბურიის რეგიონში

საქართველოს მთავრობის ინიციატივით დაწყებული საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის საპილოტე პროექტი წარმატებით დასრულდა - გურიის რეგიონში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში აშენდა 140 კმ. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურა, რაც 49 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 28 000-ზე მეტ მოსახლეს შესაძლებლობას აძლევს ისარგებლოს ელექტრონული ჯანდაცვით, ელექტრონული განათლებით, ელექტრონული კომერციით და სხვა თანამედროვე სერვისებით. უკვე დაწყებულია მეორე საპილოტე პროექტი. ქობულეთის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია



50 კმ. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რომლის შედეგად დაახლოებით 10 500 მოსახლეს მიეცემა

შესაძლებლობა ისარგებლოს მაღალი ხარისხის ინტერნეტით და მიიღოს ფართოზოლოვანი მომსახურება.

ირაკლი ღარიბაშვილი - შეღავათიანი აბროპრემიების პროგრამამ მრავალ წარმოებას მისცა ზრდისა და განვითარების შესაძლებლობა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილთან ერთად ვაკეჯვრის საკალმახე მეურნეობაში იმყოფებოდა, რომელიც შეღავათიანი აგროკრედიტით სარგებლობს.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, ბოლო წლებში შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამამ ვაკეჯვრის საკალმახე მეურნეობას, ისევე როგორც მრავალ სხვა წარმოებას, ზრდისა და განვითარების განსაკუთრებული შესაძლებლობა მისცა.

ვაკეჯვრის საკალმახე მეურნეობა შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში, 1 400 000 ლარით დაფინანსდა.

შედეგად, დღეს იგი საქართველოში ყველაზე მსხვილი მიმწოდებელია და ბაზრის 10% უკავია. მეურნეობაში 50 ადამიანი დასაქმებული.

საკალმახე მეურნეობაში პრემიერ-მინისტრთან ერთად მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი, გურიაში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი სახოკია, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე სოხარ სუბარი და ოზურგეთის, ლანჩ-უთისა და ჩოხატაურის მაჟორ-იტარი დეპუტატი ვასილ ჩიგოგ-იძე იმყოფებოდა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაპირალში 600 ბავშვზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების საჯარო სკოლა შენდება

სასწავლო დაწესებულებაში საკლასო ოთახების გარდა, მოეწყობა ეზო, დამონტაჟდება გათბობისა და წყალგაყვანილობის სისტემები. სკოლა სრულად ადაპტირდება შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის. პროექტს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი, საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ახორციელებს, მისი ღირებულება 7 მილიონ ლარს აღემატება. გურიის რეგიონში უკვე დასრულდა შრომის, გუთურის და ერკეთის საჯარო სკოლების მშენებლობა, ჩხაკაურას სკოლაში კი სამუშაოები გრძელდება.



სკოლების მშენებლობის გარდა მუნიციპალური განვითარების ფონდი

გურიის რეგიონში რვა საჯარო სკოლის რეაბილიტაციას ახორციელებს.

პარუშოთ ერთმანეთს ღიბნები



23 აპრილი განსაკუთრებული თბილი და დასამახსოვრებელი გახდა წმიდანის სახელობის სამრევლო სკოლისათვის. ამ დღეს სკოლის პედაგოგურმა კოლექტივმა, მოსწავლეებმა მხარდაუჭირეს ბატონ გიორგი კეკელიძის საშურ წამოწყებას - იქცეს ეს დღე სასიამოვნო მოსაუბრის, გულახდილი მეგობრის, მოუსყიდავი მრჩევლის - მისი უმაღლესობა წიგნის ჩუქების დღედ.

ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელ, ქალბატონ ნაირა ქავთარაძის ძალისხმევით, ამ დღემ სკოლაში მართლაც შინაარსიანად ჩაიარა. ჯერ პედაგოგებმა აჩუქეს ერთმანეთს საინტერესო ლიტერატურა, შემდეგ კლასებში

ბავშვებიც მსგავსად მოიქცნენ. აღნიშვნის ღირსნი არიან მე-4 კლასის მოსწავლეები (დამრიგებელი თამარ ჩხარტიშვილი). ქველმოქმედება შეეხო ბიბლიოთეკასაც. მასწავლებლებმა და აღსაზრდელებმა ბიბლიოთეკას უსახსოვრეს წიგნები. ამ მხრივ თავი გამოიჩინეს მე-5 კლასის მოსწავლეებმა (დამრიგებელი მარიკა თავებრიძე). საბოლოოდ ბიბლიოთეკის მწირი ფონდი 550 ცალი სხვადასხვა სახის ლიტერატურით გაიზარდა.

გვსურს, ბატონი გიორგი კეკელიძის წამოწყება ჩვენს წიგნიერ სამშობლოში ტრადიციად იქცეს. ჩვენმა სკოლამ უკვე მიიღო ეს სასიამოვნო გამოწვევა - ამას ვურჩევთ

მთელ ქვეყანას.

„მთელი სამყარო ჩვენს წინ გადაშლილი ცოცხალი წიგნია, რომელიც ღაღადებს დიდებას უფლისას და კაცთა გონიერ ნაწილს აუწყებს იდუმალ და დაფარულ ბრწყინვალეებას ღვთისას“ - ბრძანებს ცკვენი უწმინდესი ილია II. გვსურს აღსაზრდელებს მივმართოთ უწმინდესივე სიტყვებით: „შეიყვარეთ წიგნი, ისწავლეთ ღრმა აზროვნება, ისწავლეთ ღმერთის შიში და სიყვარული, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მეციხოვნეები გახდეთ.“

მანოლა ვაშალოშიძე,
ბიბლიოთეკარი

თანაბრებლობა

გაზეთ ალიონის რედაქცია თანაუგრძნობს ოზურგეთის რაიონის ყოფილ სამხედრო კომისარს, სასტუმრო „გურიას“ ყოფილ დირექტორს, რამდენიმე პუბლიკური კრებულის ავტორს, ბატონ მურმან ღუნდუას მეუღლის **ეტიარ ჯანაჯღაპა-ღუნდუას გარდაცვალების გამო.**

დაიკრძალა 15 მაისს, ქ. თბილისში.

ს.ს „იმედი“-ს აქციონერთა საყურადღებოდ

2021 წლის 20 მაისს, ღლის 16 საათზე გაიმართება აქციონერთა საანგარიშო კრება.

ღლის წესრიგი:

- ს.ს. „იმედი“-ს 2020 წლის ფინანსური განხილვა;
- ს.ს. „იმედი“-ს 2021 წლის ბიუჯეტის ფინანსური განხილვა და ეკონომიკური ანალიზი;
- ცვლილებების შეთანხმება ს.ს. „იმედი“-ს საწესდებო ქაპიტალში;
- ს.ს. „იმედი“-ს წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;
- 5. ს.ს. „იმედი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები; კრება ჩატარდება მისამართზე:
- ქ. ოზურგეთი, ჭანტურიას ქ. №5.

აქციონერთა რეგისტრაცია იწარმოებს 15 მაისი.

ს.ს. „იმედი“-ს ღირებულება; სამეთვალყურეო საბჭო.

„ღელაიფა სიცოცხლის კლანტაა“

№4 საბავშვო ბაღში (მე-ნეჯერი მ. ღლონტი), დედამიწის დღესთან დაკავშირებით. 22 აპრილს ჯგუფებში ჩატარდა შემაჯამებელი აქტივობები დევიზით „ღელაიფა სიცოცხლის პლანეტა“.

ჯგუფის აღმზრდელები (ლ. ქავთარაძე, ნ. ქერქაძე, თ. ტოროტაძე, ნ. სირაძე) ტოლს არ უდებენ ერთმანეთს სხვადასხვა თემაზე შემაჯამებელი აქტივობების გამართვით.



საგრძობლად დღითიდღე იხვეწება და იზრდება. აღსაზრდელებმა გამოამყვანეს მოვლენათა აღქმის უნარი, ინფორმირებულობა, მცირე ასტრონომიული ცოდნა ასაკის შესაბამისად.

მათ მხატვრულ-მუსიკალურ ნაწილშიც (მუსიკის

მასწავლებელი ნ. ქილიფთარი) გამოავლინეს თავიანთი მონღომება. აქტივობების შემდეგ ეზოში დარგეს მარადმწვანე მცენარეები.

ეს ღამაში დღე ამ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს არასოდეს დაავიწყდებათ.

რეკლიმა

თუ სწორ ანალიზს გავაკეთებთ

თაღლითობა რომ სამყაროსავით ძველია, არც თუ ისე ახალი ამბავია. ერთმა მეგობარმა კოლექციონერმა მომიყვა შემდეგი ისტორია: ოდესღაც თავის კოლეგას აღმოუჩენია ფარაონ ენატონის დროინდელი მონეტა, რომელიც ყოფილა ყალბი. ეს უკანასკნელი შეფასებულა და გაყიდულა რამდენჯერმე უფრო ძვირად, ვიდრე იმ დროს ღირდა იმ მონეტის ნამდვილი ანალოგი.

ძნელი სათქმელია, ყოველივე ამას კურიოზს უნდა ვუმაღლოდეთ თუ ეშმაკმა საგანგებოდ ჩალო ინდულგენცია მომავალში უფრო ფართომასშტაბიანი თაღლითობისთვის?

მოდით, ამ უკანასკნელის „სასარგებლოდ“ განვიხილოთ შემდეგი მოსაზრება: ნუ ვიდავებთ იმაზე, რომ მილიარდების თაღლითობით მითვისებაც კი ნაკლებად დასჯადია (ან ისჯება კი საერთოდ?), ვიდრე ნახევარი ტომარა ლობოს მოპარვა ხუთი შეილის პატრონი, უმუშევარი, ლტოლვილი დედის მიერ, რომელსაც შვიდი წელი ჰქონდა მისჯილი და ამ ფაქტს აპროტესტებდა თავის დროზე ქალბატონი ელენე თევდორაძე. რაშია საქმე? ალბათ იმაში, რომ თაღლითი

არ ძალადობს, ან ნაკლებად ძალადობს, როცა სხვა დანარჩენი, მიზნის მისაღწევად, არანაირ ძალადობაზე უკან არ იხვევს. ყოველ შემთხვევაში, ასე გამოიყურება იურიდიული მეცნიერების ლოგიკა.

არ ვიცი, რამდენად მართებული იქნება ეს შედარება, მაგრამ რატომღაც გამახსენდა ჯაკობო კაზანოვა (1725-1797), აცხონოს ღმერთმა. თაღლითიც იყო და მრუშიც. ალბათ, ამ უკანასკნელში განსაკუთრებული წარმართებისთვის მოხვედრილა

В пантеоне творческих умов
350 წელი გასულა მას შემდეგ, მაგრამ თაღლითობა სულ უფრო და უფრო „ღირსეული“ ადგილს იკავებს ჩვენს ცხოვრებაში. ერთი შეხედვით, რა დიდი ამბავია, დალაგდეს ურთიერთობა ადამიანსა და ერებს შორის, რაც ღმერთის ნება უნდა იყოს, მაგრამ რატომღაც განაგებს სატანა, მეტიც, არ გვაკმარა, რაც გვჭირდა და შემოგვივლო ისეთი ვირუსი, რომელიც შეიღებს, რაც ვერ შეძლო ვერც ერთმა ვირუსმა და მათ შორის შავმა ჭირმაც კი დედამიწის ისტორიაში, ანუ ნელ-ნელა, საყოველთაო პანიკის გარეშე, შემპარავად

გაანადგურებს იმდენს, რამდენიც დაეგვიძლი აქვს მას. შემდეგ კი, ღმერთიც გამოჩნდება და წამაღი... აქედან გამომდინარე, მე, ცოდვილს ამეკვიატა აზრი, რომ ღმერთი და ეშმაკი აკეთებენ ერთ საქმეს?

ასეთი კრამოლური რამ, ალბათ, ადამიანს უჩნდება მაშინ, როცა ხედვას, მსოფლიო პანდემიის დროს, რას ფიქრობენ (და არა მხოლოდ ფიქრობენ) მღვდელმთავრები გავლენიანობასა და ქონების დაგროვებაზე, როცა მრევლი უკიდურეს სიღუჭირეშია. ანუ, ყოველივე ამის შემდეგ, ვინ არის მეტი ცოდვილი - მე, რომელმაც ასე ვიფიქრე თუ ისინი, ვინც ეს მაფიქრებინა? (სხვათა შორის, ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლა პირველად დაუწყიათ იეზუიტ ბერებს სამხრეთ ამერიკის პარაგვაიში, ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში, როცა ჩვენ, ქრისტიანმა, ე. წ. სასულიერო პირებმა ასე „მოგვაბეს თავი“ 21-ე საუკუნეში. ეს გასაკვირი სრულებით არ არის, ვინაიდან რაც ერია, ისეთივე „ბედნიერია“ ბერიც).

გაკვირვებას იწვევს სულ სხვა რამ: უძველესი სახელმწიფოებრიობის და კულტურის პრეტენზიის

მქონე ქართველები რატომ დაიბნენ აზერბაიჯანთან მეზობლურ ურთიერთობაში? (ჯერ კიდევ ძველ რომში, სერიოზული ძიების დროს, ისმებოდა (და მუშაობდა) კითხვა „კუი პროდესტ“, ანუ ვის არგია. ჩვენთან, დაახლოებით 20 საუკუნის შემდეგ, შემოიღეს გონივრული ეჭვი, რომელიც არ მუშაობს, მეტიც ნაღვლიან ღიმილს იწვევს, ვინაიდან ქართული ე. წ. სამართალი გონივრულ ეჭვს კი არა, ათეულობით მოწმის მიერ დანაზახ და დაფიქსირებულ ფაქტებს ააოროტებს ისე, რომ თვალს არ დაახამხამებს. მაგრამ ეს ისე, როგორც ხიდი დროთა შორის. ვეცდები სულ სხვა გონივრული ეჭვის წინაშე აღმოვჩნდე).

მე არ ვიცნობ დავით გარეჯის ისტორიას, მაგრამ მაინტერესებს, ამ საქმის დღევანდელი მადიებლები რატომ არ იწყებენ გამოძიებას თუ რა ხდებოდა კომუნისტების მოსვლამდე და ცოტა იქეთაც, საუკუნეების სიღრმეში, ანუ რა იწვევს კომუნისტებმა ტერიტორიების გადაცემა-გაჩუქებაში, რომლის გამოძიება ძნელი არ იქნება, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა იყოს, ვინაიდან დიდი დრო არ არის

გასული. საინტერესოა კიდევ ერთი არც თუ უმნიშვნელო ფაქტი: ელუარდ შევარდნაძე და გვიდარ ალიევი იყვნენ 30 წელი ამ ორი ქვეყნის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, შემდეგ კი - პრეზიდენტები. გასაგებია, რომ სსრკ-ს პერიოდში ტერიტორიებზე არ საუბრობდნენ, მაგრამ დამოუკიდებლობის მოპოვების და ამ ორი პიროვნების თავიანთ ქვეყნებში გაპრეზიდენტების შემდეგ როგორი დასაჯერებელია, რომ მათთვის გარეჯის საკითხი იყო მეორე-მესამეხარისხოვანი და დაუტოვეს გადასაწყვეტად დღევანდელ ხელისუფალთ? არასერიოზულია ყოველივე ეს, მაგრამ თუ ასეა, მაინც ამ ორი მოღვაწის მოღვაწეობაში უნდა მოინახოს ამ პრობლემის დაკარგული გასაღები და არა მელა-შვილისა და ილიჩოვას კომპეტენციაში.

ასე რომ, ბევრი რამ არის გასარკვევი ხალხისა და ხელისუფლების ურთიერთობაში.

ბრამიტო (გურამენი) მაინაშვილი
ტელ. 551 95 75 22.

ოზურგეთის თეატრმა მაცურებელსა და მთავრობას ნამდვილი კლასი უჩვენა



2021 წლის 14 მაისს ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ისტორია ახალი, გაუხუნარი ფურცლით შეივსო. საზეიმო ვითარებაში

გაიხსნა ბატონი ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევითა და ფონდ „ქართუს“ სოლიდური დაფინანსებით გრანდიოზულად რეაბილიტირებული თეატრის შენობა, ქმნილება, რომელიც, თავისი წარმო-

სადგობითა და სრულყოფილებით არათუ რევიონს, არამედ ნებისმიერ მეგა ქალაქსაც კი დაამშვენებს. ცერემონიალს ესწრებოდნენ ჩვენი ქვეყნის როგორც საკანონდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი პირები, მინისტრები, დეპუტატები, თეატრალური ხელოვნების, კულტურის მოღვაწეები და, რაღა თქმა უნდა, ადგილობრივი მაცურებლები.

და მაინც, ამ დღის კულმინაცია გახლდათ მისი აღმატებულება პრემიერა, რომლითაც ოზურგეთელმა თეატრალებმა, დაწყებული სამხატვრო ხელმძღვანელიდან დამთავრებული ტექნიკური და სამეურნეო პერსონალით, დაამტკიცეს, რომ მარეაბილიტირებლები არ შემცდარან.

გურულების ერთადერთი სახელმწიფო თეატრის რეპერტუარში ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ მაცურებელს ყველაზე მეტად ბატონი ნოდარის გმირები ენატრებოდა და სწორედ დუმბაძის „მონატრებით“ წასდგა დასი სტუმრებისა და მაცურებლის წინაშე, თანაც ისე, რომ სცენაზე, ამ პერსონაჟებთან ერთად, „მზიანი გულის მწერლის“ სული დადიოდა და მეტყველებდა.

დუმბაძის ნაწარმოებების თეატრალური შერწყმა არც პირველი იყო და არც ბოლო იქნება, მაგრამ ჩიგოგიძისეული მაინც სხვა დარჩა.



ჩემი აზრით, ბატონი ნოდარის შემდეგ, ყველაზე უფრო, ალბათ, ბატონ ვასო ჩიგოგიძეს ძალუძს, ერთად შეკრიბოს გურიის ეს მარადიული გმირები, ერთობლივად ახარხაროს, ატიროს და აფილოსოს ისინი. ამავე დროს, ორიგინალური ხელწერით გამოირჩევა იგი სხვა დრამატურების გასცენიურების პროცესშიც. თუმცა რა გასაკვირია, რადგან საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის, ბატონი გიორგი გვეჯჭორის სიტყვებით, „შუქიც რომ გამოირთოს და ვასოზე შეაერთონ, ყველაფერს გაანათებს და ამოძრავებს“.

რაც შეეხება ვასოს „ლომებს“ (ჩიგოგიძის საყვარელი გამოთქმა თავის მსახიობებზე), მათ დაამტკიცეს, რომ მართლაც ლომები

არიან, თანაც ისე, რუსთაველმა რომ ბრძანა: „ლეკი ლომისა სწორია, ძე იყოს თუნდაც ხვადია.“

არ იყო ამ წარმოდგენაში სუსტი როლი და სუსტი რგოლი, დროდადრო იგრძნობოდა მღელვარების ელემენტები, რაც პრემიერას არ ააუგებს, ჩემი აზრით, შვენის კიდევ.

ერთი სიტყვით, 2021 წლის 14 მაისს, გარდა იმისა, რომ ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის 150 წელს გაცელებული ისტორია ფრიად მნიშვნელოვანი ფურცლით შეივსო, შემოქმედებითა ჯგუფმა, ანუ დასმა მაცურებელსა და მთავრობას თეატრალური ხელოვნების ნამდვილი კლასი უჩვენა.



ჯილდოები ოზურგეთის თეატრს და მის თანამშრომლებს



14 მაისს პრემიერის შემდეგ, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ დაავიწყებდა:

- ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ჯილდოთი;
- თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი ვასილ ჩიგოგიძე - სულხან საბა ორბელიანის ჯილდოთი „ქართული სცენის დესპანი“;

- თეატრის დირექტორი ზაზა ჯიჭარაძე - ჯილდოთი „ქართული თეატრის ქომაგი“;
- მსახიობი თამარ მდინარაძე - „სულხან საბა ორბელიანის ჯილდოთი „ქართული სცენის დესპანი““;
- მსახიობი ნინო ჯუღელი - ლამარა თურმანიძის სახელობის ჯილდოთი;
- მსახიობი გიორგი დოლიძე - ევტროფი თალაკვაძის სახელობის ჯილდოთი;

- მსახიობი ლევან სალინაძე - გიორგი შავგულიძის სახელობის ჯილდოთი.
 - მსახიობი ვახტანგ ჩხარტიშვილი - სანდრო ჟორჯოლიანის სახელობის ჯილდოთი;
 - დასის მმართველი, მსახიობი ირკლი ვადაჭკორია - რომან ლომინაძის სახელობის ჯილდოთი;
 - მსახიობი თეა კეჭავაძე - გოგუცა კუპრაშვილის სახელობის ჯილდოთი.
- წოდება „ამაგდარი“ მიენიჭათ:
- მსახიობ ზვიად ჯორბენაძეს;
 - მსახიობ გენადი ნიკოლაიშვილს;
 - მსახიობ დავით კვერელიძეს.
 - სადადგმო ნაწილის გამგე ბონდო ჩხარტიშვილს;
 - ხმის რეჟისორ ზურაბ ჭანიშვილს
 - სცენის მთავარ მემანქანე ნიკოლოზ გაზაშვილს.



7 დღის ამინდის პროგნოზი

 წვიმა +10+19	 მზი +11+23	 მზი, +14+27	 მზი, ღრუბლი- +14+27	 მზი, ღრუბლი- +13+28	 მზი, ღრუბლი- +12+19	 მზი, ღრუბალი- +13+21
17 მაისი ორშაბათი	18 მაისი სამშაბათი	19 მაისი ოთხშაბათი	20 მაისი ხუთშაბათი	21 მაისი პარასკევი	22 მაისი შაბათი	23 მაისი კვირა